შპს
„ეკონომიკა-აუდიტი"
„ECONOMICS-AUDIT"
LTD

ქ. ბათუმი ნ. იმნაძის ქ. № 6
ADR. BATUMI N. IMNADZE ST. 6
T. 27-70-27
ელ. ფოსტა: ekonomikaauditi@yahoo.com

№ 25 16 მაისი 2017წ.

მიღება-ჩაბარების აქტი N 62/1

ქ. ბათუმი 16 მაისი 2017 წელი

ჩვენ, ერთი მხრივ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო, სამმართველოს უფროსის მოადგილის ვახტანგ ბაგრატიონის სახით და მეორე მხრივ შპს "ეკონომიკა-აუდიტი", მისი დირექტორის მალხაზ ქარცივაძის სახით, ვადასტურებთ, რომ მიმწოდებლის მიერ განხორციელდა 2017 წლის 18 აპრილის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 45 ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასაწევი მომსახურების (შესყიდვის ობიექტის) მიწოდება.

2017 წლის 18 აპრილის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 45 ხელშეკრულების თანახმად შპს „ეკონომიკა-აუდიტ"-მა მოახდინა სამმართველოს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აჭარის სატყეო სააგენტოს 2016 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის და 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტორული შემოწმება და შესაბამისი დასკვნების მომზადება. მიმწოდებელმა შესამოწმებელ ორგანიზაციაში უზრუნველყო:

ა) ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მდგომარეობისა და არგანიზაციის აუდიტი, ბუღალტრული ანგარიშგების შესაბამისობა ინსტრუქციით განსაზღვრული მეთოდოლოგიის და ანგარიშთა გეგმის მიხედვით (საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის №1321 ბრძანების და 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების შესაბამისად);

ბ) ბუღალტრული ბალანსის (თანდართული ფორმებით) სისწორისა და სისრულის შემოწმება;

გ) ფულადი საშუალებების (მ.შ. საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხების მოძრაობის) აუდიტი;

დ) ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით ოპერაციათა აუდიტი, აქტივების აღრიცხვის, მიღებისა და გასვლის ანალიზი;

ე) სასაქონლო–მატერიალური მარაგების აუდიტი;

3) შრომის ანაზღაურების (საშვებულებო, ბიულეტენის თანხების, საგადასახადო შეღავათების გავრცელების გამოანგარიშების) დარიცხვა-გაცემის აუდიტი;

ზ) პირველადი ბუღალტრული დოკუმენტების დამუშავების, მათ საფუძველზე განხორციელებული ბუღალტრული ჩანაწერების შესაბამისობა;
თ) გადასახადებისა და მოსაკრებელების დარიცხვის სისწორისა და დროულად გადახდის, გადასახადების აღრიცხვისა და დეკლარირების სისწორის დადგენა;
ი) მოთხოვნებისა და დავალიანებების აღრიცხვის მდგომარეობა, დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებათა წარმოქმნის საფუძვლიანობა;
კ) დამტკიცებულ (დაზუსტებულ) ბიუჯეტთან საკასო ხარჯების შესაბამისობისა და კანონიერების შემოწმება;
ლ) არასაბიუჯეტო შემოსავლებისა და ხარჯების კანონიერების შემოწმება (მ.შ. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნათა გათვალისწინებით);
მ) ინვენტარიზაციის ჩატარება (საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანების შესაბამისად), ფაქტიური ნაშთების დადგენა და შედარება და მათი შედეგების საბალანსო მონაცემებთან შესაბამისობის შემოწმება;
ნ) სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების აუდიტი.

მიმწოდებლის მიერ შესაბამისი დასკვნა მომზადდა სამ ეგზემპლარად და გადაეცა შემსყიდველს.

გაწეული მომსახურების ღირებულება შეადგენს 1 500 (ერთი ათას ხუთასი) ლარს.

მიღება-ჩაბარების აქტს ვადასტურებთ ხელმოწერით:

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების
სამმართველოს უფროსის მოადგილე: ვახტანგ ბაგრატიონი

შპს „ეკონომიკა-აუდიტი“-ს

დირექტორი: მალხაზ ქარცივაძე